1889 წელსა, № 14 30 ივლისს

მწყემსი

1883-1889

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	5 მან.	12 თვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 — . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა აცხადებს, რომ თხოვნები ბავშვების მიღებაზე სასწავლებელში უნდა მისცენ სასწავლებლის ზედამხედველს მარიამობისთვის (აგვისტოს) 1-დამ 20-მდე; 25 და 26 იმავე თვისას მეორედ გამოიცდებიან ის შეგირდები, რომელთაც გამოცდის დროს ვერ მიიღეს შემდეგს კლასში გადასაყვანი ნიშნები, 29 და 31 იმავე თვისას იქნება მისაღები გამოცდა.

3—1

მღვდლის ავტორიტეტი (პატივი და გავლენა).

«ნუმცა ვინ სიჭაბუკესა შენსა შეურაცხჰყოფნ» (1 ტიმ. 4, 12), სწერს პავლე მოციქული ტიმოთეს. ესეთი დარიგება აუცილებელია ყოველი მწყემსისათვის. ვინც ეზიზღებათ, ანუ ვისაც შეურაცხჰყოფენ, იმისი ნდობაც და რწმუნებაც არა აქვსთ. ვისაც გულწრფელად პატივს არა სცემენ, იმას არც ავტორიტეტი აქვს ხალხში. ვისაც ავტორიტეტი არა აქვსდა ვისაც არ ენდობიან, იმას არც ზნეობრივი გავლენა შეუძლია იქონიოს ხალხში. მასწავლებლისთვის, რომ მან ჯეროვნად შეასრულოს თავისი დანიშნულება, საჭიროა მოწაფეების თვალში იქონიოს ავტორიტეტი და რწმუნება. უფროსმა, რომ მან თავის ხელქვეითებს ყოველივე მოვალეობა შეასრულებიოს არა მარტო შიშისა გამო, არამედ სინიდისის მოთხოვნილებით,—უნდა მოიპოვოს მათგან პატივისცემა და სიყვარული. ეკკლესიის მწყემსთათვის მით უმეტეს საჭიროა, რათა მათ ჰქონდეთ პატივი, სიყვარული და სრული ნდობა სამწყსოთაგან, რადგან ისინი დაყენებულნი არიან სალმრთო მცველებად. მწყემსნი უნდა ცდილობდენ ამისათვის არა ამპარტავანობისა და ცრუ პატივ-მოყვარეობისათვის, არამედ ღვთის სასუფევლის აღსაშენებლად ქვეყანაზედ.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მწყემსთა აქვსთ ავტორიტეტი მათ პირად ავტორიტეტს გარდაც და ამასთანავე ეს ავტორიტეტი არის უმაღლესი ყოველ კაცობრიულ ავტორიტეტებისა,—იგია ღვთაებრივი ავტორიტეტი, რომელიც მოანიჭა მათ უზენაესმა და დაუსაბამო მწყემსთ-მთავარმა, როდესაც დაადგინა ისინი მსახურებად.

მაგრამ მწყემსი არ უნდა შესცქეროდეს გულ-ხელ-დაკრეფილი მარტო ამ ღვთაებრივს ავტორიტეტს, იგი არ უნდა იჯდეს უზრუნველად მარტო ამ ავტორიტეტის მოიმედე, აქაოდა ჩემი ავტორიტეტი უჩემოთაც მტკიცე და შეურყეველია, რასაც მართლა მრავალი მწყემსთაგანი სჩადის. ამათ ავიწყდებათ, რომ იესო ქრისტე, აძლევს რა მწყემსთა ესრეთს ავტორიტეტს, ითხოვს მათგან შესაფერს მოღვაწეობას მის ყანაში, მაშასადამე მას ჰსურს, რომ მისგან მოლებული მათ მიერ ავტორიტეტი არ დარჩეს მკვდრად, უძრავად და პირადად, შინაგანად შეუთვისებლად და გამოუცხადებლად სამწყსოთა ცხოვრებაში მწყემსის მოღვაწეობის საშვალებითა. რუსეთის მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წევრნი ყოველთვის აღიარებდენ მწყემსში უზენაესს მადლს, მონიჭებულს მისდამი დაუსაბამო მწყემს-მთავრისაგან აღსასრულებლად და აღსაშენებლად საიდუმლოთა ღვთისათა, მაგრამ ამავე დროს მის ღვთაებრივს უფლებას სწავლებისა და ხელ-მძღვანელობას სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივს ცხოვრებაში არ აქცევდენ არა ვითარს ყურადღებას და თვით მწყემსს ხშირად უყურებდენ ზიზღით. ძველ ბევრს ახსოვს ის დრო, როცა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მწყემსს, შემდეგ რომელიმე მღვდელ-მოქმედების აღსრულებისა მებატონის სახლის ზალაში, დაუყონებლივ გზავნიდენ სალაქიო ოთახში ჩაის დასალევად.—თვით ხალხიც, მებატონეებზედ უფრო დაახლოვებული მღვდელთან, ესრედვე ექცეოდა და დღესაც ზოგან ექცევიან თავიანთ მწყემსთა. ხალხი ძველიდგანვე ხედავდა მწყემსში ღვთის მოსამსახურეს მხოლოდ საღმრთო სამსახურის აღსრულების დროს; ხოლო ამის შემდეგ დასცინოდა და ეხლაც დასცინის მას უმეტესად, ვიდრე თავის უბრალო ძმა-ამხანაგს. ხალხი ხშირად უყურებდა და დღესაც უყურებს მღვდელს როგორც თავის მუშაკს და სარჩენ კაცს, რომელიც ვალდებულია პატივი სცეს თავის პატრონს,—და ხშირად წარმოადგენს მას სასაცილო სახით: ეჭვი არაა, რომ ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქრისტიანულს ცხოვრებაში. მაგრამ აგეთი შეხედულება დღესაც არის და ჩვენმ. თანამედროვე მწყემსებმა უნდა მოსპონ იგი.

ესრეთი უმსგავსო მოვლენის მოსასპობლად ქრისტიანობაში მწყემსნი უნდა სცდილობდენ თავიანთის მაღალ-ზნეობრივი და გონიერი ცხოვრებით შეიძინონ ხალხის პატივისცემა, სიყვარული და რწმუნება და არ დაამყარონ მარტო მინიჭებულს მათდამი ღვთაებრივს ავტორიტეტს; ესენი მარადის უნდა სცდილობდენ ცხოვნებას თავიანთ სამწყსოთა. ჩვენ, მწყემსნი, მისთვის ვართ დადგენილნი, რათა გადავარჩენდეთ დაღუპულთა და ცთომილთა.

რა ითხოვება მწყემსის მხრით სამწყსოში მისი ავტორიტეტის აღსადგენად? მწყემსის ავტორიტეტის აღსადგენად, სამწყსოში სიყვარულისა და პატივის შეძენისათვის, რაც აუცილებლად საჭიროა მწყემსის სამსახურის წარმატებისათვის,—მწყემსის მხრით ძლიერ ბევრი რამ არის საჭირო. აქ არ კმარა მარტო კერძო კეთილი მხარეები ზნეობრივის ხასიათისა, არც თითო ოროლა მისი ღირსება, რომელიც ადვილად თავსდება მწყემსში მის მრავალ ნაკლულევანებებთან; აქ საჭიროა მწყემსში მოთავსებული იყოს საზოგადო კაცობრიული და მწყემსებრივი ღირსებანი, რომლებიც უნდა წარმოადგენდენ მწყემსის ცხოვრების ერთს სრულს შეუბღალავს სურათს, და სპეტაკს. მწყემსის ცხოვრება სრულად უნდა გვიხატავდეს საზოგადო კაცობრიულს და ქრისტიანულს ცხოვრებას და არა თითო-ორ-ორ მის კერძო მხარეს. ამას ითხოვს თვით პავლე მოციქული ტიმოთესაგანაც: «სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სულითა, სიყვარულითა, სულითა სარწმუნოებითა და სიწმიდითა (1 ტიმოთ. 4, 12). ცხადია, რომ ესრეთი სისრულის და უნაკლულობის მოთხოვნილება მოძღვრისაგან არის იდეალური და კაცისთვის მიუწთომელი; ესრეთი სრული იყო მხოლოდ მაცხოვარი, რომელსაც მთელს თავის ქვეყნიურ ცხოვრებაში არ ჩაუდენია არც ერთი ცოდვა. ხოლო მოძღვარს, როგორც კაცს, შეუძლია ამ იდეალის მიღწევა მხოლოდ დაახლოებით.

ქრისტიანული ცხოვრების სისრულის განხორციელება არა თუ ძნელია კაცისთვის, არამედ სიტყვითაც მისი გამოხატვა შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეხატოთ მხოლოდ კერძო მხარეები ამა სისრულისა, რათა მოეგონოთ ჩვენ მოძძეთა ის, რაც ჩვენგან ითხოვება აღსადგენად სამწყსოში მწყემსის ავტორიტეტისა.

მოძღვარი პირველად ყოველისა არის ღვთის-მსახურების აღმასრულებელი. ამ მოვალეობის აღსრულების დროს იგი უნდა იყოს სრულიად კრძალული; და გარეგნათაც უნდა გამოიჩინოს თავისი გრძნობები, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ზნეობრივ აღსაშენებლად სხვათა, როდესაც იგი ჩვენ საცხოვრებლად მიართმევს ჩვენ უღირსთაგან ღმერთს სულიერ მსხვერპლთა.

ღვთის-მსახურების აღსრულების დროს მწყემსი უნდა იყოს სრულიად გულ-წრფელი, არ უნდა მედიდურობდეს გარეგნად და არ უნდა ეძლეოდეს ცრუ-თვალთმაქცობას. ესრეთი ქცევით იგი ვერავის გააკვირვებს და ვერ მოაწონებს თავს; ხოლო ამას კი იქმს, რომ მლოცველებს შთააგონებს თავის შესახებ არა სანატრელ აზრთა და გრძნობათა.

მწყემსი დადგენილია მისთვის, რათა მან ასწავლოს სამწყსოთა ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა, შეაყვაროს მათ ერთი მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი და გარდმოვლენილი მისგან იესო ქრისტე და, მათში მტკიცე სარწმუნოების დამყარებით მოუმზადოს მათ საუკუნე ცხოვრება: ამისათვის მწყემსი, მაგალითისამებრ თავისი უზენაესი მწყემსთავრისა, რომელიც ასწავლიდა ხალხს არა მარტო ტაძარში, არამედ ყოველგან, სადაც კი შეიძლებოდა,—კერძო სახლებში, გზაზედ, მთაზედ, ტბაზედ, ნავში და სხვ. უნდა იყოს მასწავლებლად არა მარტო ტაძრის კათედრაზედ, არამედ ყოველგან, სადაც ამას მოითხოვს მისგან შემთხვევა და საჭიროება. იგი მოწოდებულია მისთვის, რომ ასწავლოს, შეაგონოს, დაარიგოს, ამხილოს თავისი სამწყსონი ყოველ დროს და მისცეს პასუხი ყველას, ვინც კი რამეს ჰკითხავს მას ქრისტიანულს სასოებაზედ. მსეთი შეხედულობა მწყემსის მასწავლებლობაზე—არ არის ახალი ჩვენს დროში. ამ აზრს ადგანან ახლა სწავლულნიც და უსწავლელნიც, გონიერნიც და უგნურნიც, ინტელიგენციაც და მდაბიო ხალხიც. რასაკვირველია, მწყემსს უფრო გაუადვილდებოდა სამსახური, როდესაც მისგან გარდა მღვდელ-მოქმედების აღსრულებისა, არაფერს მეტს არ ითხოვდენ. ბაგრამ დღეს გარდა მღვდელ-მოქმედებისა მისგან ითხოვენ იმეთ საქმეს, რომელიც არ არის მისთვის ადვილი, არამედ საშიშოცა როგორც მწყემსისთვის, ისე სამწყსოთათვის. მასწავლებლის მოვალეობის აღსრულებას შეუძლია ან აღამაღლოს მწყემსი სამწყსოთა-თვალში, შესძინოს მას პატივი, სიყვარული, რწმუნება, გავლენა, და თვით მწყემსთა მოანიჭოს საუკუნო ცხოვრება, ან დაამდაბლოს მწყემსი, მოაკლოს მას ყოველი ნდობა სამწყსოს თვალში და დალუპოს იგი. ტყუილად კი არ უცვნია საჭიროდ პავლე მოციქულს გაეხსენებია ტიმოთესათვის, რომ ის უნდა იყოს სახედ სიტყვითა და არ გადაუხვიოს ამ ჭეშმარიტ სწავლას, რომელიც მან ისმინა მოციქულისაგან (2 ტიმ. 1, 13). მაშასადამე მწყემსს უნდა ეშინოდეს, რომ მან არ გადაუხვიოს ჭეშმარიტს სწავლას, არ იქადაგოს ის, რაც არა ჯერ არს, არ ასწავლოს ის, რაც საჭირო არ არის. ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ისეთი კაცები, რომლებიც ამახინჯებდენ და ეხლაც ამახინჯებენ ქრისტიანულს მართლ-მადიდებელს სწავლას. ქადაგებდენ და ქადაგებენ სიცრუეს ნაცვლად ჭეშმარიტებისა, და ამასთანავე არა თუ განზრახვით, არამედ ხშირად განუზრახველადაც—ზოგჯერ თავის გაუგებრობის, განუსჯელობის, უყურადღებლობის და დაუდევრობის გამო, საღმრთო წერილის შეუგნებლობისა გამო, ან თავიანთ მიდრეკილობით, თავიანთ წინადადებულ აზრთა ძალით. და სხვ. მწყემსმა სრულიად პირუთვნელად, მიუხედავათ ამაოცრუ სწავლათა, სწავლებაში უნდა დაიცვას მართლმადიდებლობის სიწმინდე, ყოველთვის და ყოველგან უნდა ასწავლიდეს ხალხს ჭეშმარიტის, მართებულის სიტყვით და მზად იყოს, მართლ-მადიდებელი სარწმუნოების სწავლის ჭეშმარიტებაზედ დამყარებული, პასუხი მისცეს ყველას, ვინც რაიმე კითხვას მისცემს ქრისტიანულს სარწმუნოებაზედ და ცხოვრებაზედ. არასფერი ისეთ არ ამდაბლებს მწყემსს მრევლის თვ-

ლში, არაფერი იმოდენად არ ამცირებს მის ნდობას მასთან, როგორც ამ გვარის პასუხის მიცემის შეუძლებლობა მწყემსის მხრით. შემცდარ აღსნას ქრისტიანული ჭეშმარიტებისას, მოუფიქრებელ და მოუაზრებელ პასუხს სამწყსოთა კითხვებზედ, განუსაზღვრელს და საკმაოდ გაურკვეველს დარიგებას, რომელსაც თხოულობს სამწყსო რომელიმე ჩვეულებრივი ცხოვრებისგან წამოყენებულ შემთხვევაზედ,—ერთბაშად შეუძლიათ ჩააყენონ მწყემსი ცუდს მდგომარეობაში. მწყემსს ყოველივის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ უბრალო ხალხი უყურებს მას როგორც სარწმუნოებრივ-ზნეობრივს მასწავლებელს, დაყენებულს პასუხის მისაცემად მკითხველთადმი. და ვაი მწყემსს, თუ მისი პასუხი არ იქმნა დამყარებული მტკიცე საფუძველზედ! იმ შემთხვევაში, როცა მან არ იცის, რა პასუხი მისცეს მკითხველს, სჯობს დაიცადოს, კარგად მოიფიქროს, გამოიკვლიოს საგანი და შემდეგ უპასუხოს კითხვაზედ.

აქედამ ცხადია, რომ მწყემსს ესაჭიროება არათუ მზადება სიტყვა-ქადაგებისთვის, არამედ მუდამ სწავლა და შეთვისება საღმრთო—წერილისა, ეკლესიის წმ. მამათა და მოძღვართა ხელმძღვანელობით. მწყემსი უნდა ჰკრებდეს მაგალითებს და ფაქტებს წმიდათა ცხოვრებიდამ, რომელთა მეოხებით ხშირად ძლიერ გასაგებად შეიძლება აღსნა ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა, და აგრეთვე უნდა შეისწავლოს ქრისტიანული ცხოვრება თავის თავზედ. თეორიული ცოდნა,—ცხოვრებაში გამოუყენებლად,—მკვდარი საქმეა, უსარგებლო როგორც მისთვის, ისე სხვისთვისაც, ამიტომ რომ ქრისტიანული მართლ-მადიდებელი სარწმუნოება არის არა მარტო ჭკუის საქმე, არამედ გულისაც და ნებისაც, ანუ უკეთა ვსთქვათ, იგი არის ცხოვრება—და კიდე მეტი—სისრულე ცხოვრებისა.

ეკკლესიის მწყემსის მოქმედება და მოღვაწეობა სამწყსოთა სხვა-და-სხვა გვარ მდგომარეობათა და საჭიროებათა მიხედვით. *)

რაში მდგომარეობს ის სამსახური, რომლისათვისაც ეკკლესიის მწყემსს იწვევენ ავად-მყოფთან? და-რა გვარი შემწეობა შეუძლია აღმოუჩინოს მწყემსმა ავად-მყოფს?

სულიერ მწყემსთ იწვევენ ავადმყოფთან ორ გვარი სამსახურისათვის—ღვთის-მსახურების შესრულებისა და მწყემსური დარიგებისათვის. ეკკლესიის მწყემსს იპატიჟებენ ავადმყოფთან როგორც ეკკლესიისაგან დანდობილ მლოცველს ღვთის წინაშე და საღმრთო მადლის გადმომცემელს, მაგრამ მწყემსი უნდა მივიდეს ავად-მყოფთან არა მარტო როგორც მღვდელი, არამედ როგორც მამა—მზრუნველი თავის სამწყსოის კეთილდღეობისათვის. ავად-მყოფთან მისვლა რაიმე მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის მღვდელს ხშირად აძლევს შემთხვევას გამოიჩინოს თავ-ს მწყემსური მზრუნველობა ავადმყოფზე.

დღეს მღვდელს უმეტესად იპატიჟებენ ავად-მყოფთან რაიმე მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის, ვინემ მწყემსური სამსახურისათვის. მაგრამ რადგან მღვდელ-მოქმედების შესრულება ძველი დროიდგანვე სრულდება შეუცვლელად, ამიტომ იგი არ ითხოვს ბევრ გვარ განმარტებას. ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მოთხოვნილებათ, რომელთა აღსრულება სავალდებულოა მღვდლისათვის, რომელსაც კი სურს მტკიცედ აღასრულოს თავის დანიშნულება და ერიდება ყოველივე მას, რასაც შეუძლია უთანხმოება დაბადოს მწყემსა და სამრეველოს შორის.

ავადმყოფთან იწვევენ მღვდელს უმთავრესად მისთვის, რომ მან აღსარება ათქმევინოს ავადმყოფს და აზიაროს იგი, ანუ უკურთხოს ზეთი, ხან სულიერ მწყემსს ასრულებიებენ ღვთის სამადლობელ პარაკლისს, რათა განიკურნოს სნეული.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში მღვდლისგან ითხოვება, რომ იგი დაუყონებლივ წავიდეს ავადმყოფთან. განსაკუთრებით არ შეშვენის მღვდელს დაგვიანება, როცა მას ეძახიან ავადმყოფის საალსარებოდ და საზიარებლად. ამ უკანასკნელი მოთხოვნილების დაუყონებლად შესრულებას მოითხოვს მწყემსისგან არა მარტო მისი სიყვარული სულიერ შვილთადმი და თავის მოვალეობის შეგნება, არამედ ამასთან ერთად უნდა წარმოიდგინოს მან ის დიდი პასუხის გებაც, რომელსაც ეძლევა მღვდელი, თუ მისი დაუდევნელობით ვინმე მისი სულიერი შვილი გადიცვალა უალსარებოდ და უზიარებლად. დღე და ღამ მზად უნდა იყოს მღვდელი მთხოვნელს შეუსრულოს საიდუმლო ნათლის-ღება, სინანული და ზიარება. თუ ვინმე მოაკლდა ამ საიდუმლოების შესრულებას მღვდლის დაუდევრობით, მათი ცოდვა ედება მღვდელს, რომელიც ეძლევა სასტიკ პასუხის გებას. ამიტომ, როცა მღვდელს ეძახიან ღამით, მან დილამდის არ უნდა გადადვას ავად-მყოფის ნახვა; აგრეთვე მღვდელმა ცუდი ამინდის დროსაც არ უნდა დაიზაროს ავადმყოფთან წასვლა. მწყემსმა უნდა დასძლიოს ყოველივე დაბრკოლება და გაეჩქაროს ავადმყოფთან, რომელიც მოელის მწყემსისგან საალმრთო მადლის მიღებას და მზად არის განვიდეს ამა ქვეყნისაგან. მღვდლის მდგომარეობა ამ შემთხვევაში ემსგავსება მხედრის მდგომარეობას. როცა სალდათს აყენებენ ყარაულად, ანუ სადმე აგზავნიან სამსახურისათვის, იგი ასრულებს მინდობილებას დაუბრკოლებლად და, თუ რაიმე მიზეზისა გამო არ შეასრულა მან თავის მოვალეობა, იგი ეძლევა სასტიკ პასუხის გებას თავის მოვალეობის აღუსრულებლობისათვის. არა ვითარიმე საქმემ არ უნდა დაბრკოლოს მღვდელი ავადმყოფთან წასვლაზე, მან უნდა დაუტოვოს ყოველივე საქმე და დაუყონებლივ გაეშუროს ავადმყოფთან, რომელიც გულის წმიდით მოელის მისგან ღვთაებრივ მადლს. როცა კაცი რაიმე საშიშარ განსაცდელს ეძლევა და საჭიროა მისი დახსნა, კაცთ მოყვარეობა ითხოვს, რომ მაშინვე მიეშველონ გაჭირებულს და უშველონ. მაგალ. როცა ხედავ, რომ იხრჩობა ვინმე, ვისაც შველა შეუძლია, მაშინვე უნდა შეეშველოს, თორემ ერთ წამს დაგვიანება საკმაოა, რომ კაცი ამ წუთი სოფელს სამუდამოთ გამოეთხოვოს. მღვდელი უმეტესად მოვალეა ყოველივე საქმეს თავი დაანებოს და გაეშუროს ავადმყოფთან, ვინემ ერის კაცი, რომელიც ხედავს თავის მოყვასს საშიშარ მდგომარეობაში, რადგან მღვდელს იწვევენ მის სულიერს შვილთან, რომელიც ჩაბარებული ჰყავს მას ღვთისგან. პირველ შემთხვევაში კაცი ეთხოვება ქვეყნიურ ცხოვრებას, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი იღუპება სულიერად. ეკკლესია ნებას აძლევს მწყემსთა დროებით, მეორე დღემდე, შეაჩერონ საღმრთო ლიტურგიის შესრულება, თუ ვინიცობაა ითხოვება ავად-მყოფის აღსარება და ზიარება. წირვის შეჩერება შეიძლება «დიდი შესვლის» შესრულებამდე.

ერთი სიტყვით მღვდელი დაუყონებლივ უნდა მივიდეს ავადმყოფთან, როცა კი დაიბარებენ. მან უნდა ჩააგონოს სამწყსოს, რომ მალე შეატყობინონ თავის სულიერ მამას თავის თანამოძმის სასტიკი ავადმყოფობა, რომ მწყემსმა ადრევე შეასრულოს თავისი მოვალეობა და ავადმყოფიც არ მოაკლდეს აღსარებას და ზიარებას. ზარდა ამისა, ჩვენ ყველანი მოვალენი ართ შემწეობა აღმოუჩინოთ ჩვენს მოყვასს, თითოეული ჩვენგანი აგრეთვე მოვალეა დაუყონებლივ შეატყობინოს მღვდელს ავადმყოფის საშიშარი მდგომარეობა, რომ ავადმყოფი არ გადიცვალოს უალსარებოდ და უზიარებლად. წინაალმდეგ შემთხვევაში დამნაშავე ეძლევა სასტიკ სასჯელს. ამ გვარ ღამნაშავეთ რამოდენიმე წლით აღეკრძალებათ ხოლმე საიდუმლო ზიარების მიღება.

ხშირად მიდიან მღვდელთან და ეუბნებიან: «ავადმყოფი მეტად საშიშარ მდგომარეობაში არის, ამიტომ გთხოვთ დაუყონებლივ წამობრძანდეთ;» მღვდელი ასრულებს თხოვნას, გაჩქარებით მიდის ავადმყოფთან და ხედავს, რომ უკანასკნელი სრულებითაც არ არის საშიშარ მდგომარეობაში. ასეთი შემთხვევები შეიძლება ბევრჯელ მოხდეს, ამიტომ შესაძლოა, რომ მღვდელმა შემდეგში ეჭვის თვალით შეხედოს, როცა მას ეუბნებიან: «ავადმყოფი საშიშარ მდგომარეობაში არისო» და მაშინვე არ წავიდეს ავადმყოფთან, რომელიც, მართლა, უკანასკნელ მდგომარეობაში არის.

ამ შემთხვევაში მღვდლისაგან ითხოვება მეტის მეტი გამჭრიახობა. მღვდელს არ შეშვენის საყვედური განაცხადოს, როცა ხედავს, რომ ავად-მყოფი ისეთ საშიშარ მდგომარეობაში არ არის, როგორც იგი დაარწმუნეს. საყვედურის გამოცხადებას იმიტომ არ აქვს აქ ადგილი, რომ ავადმყოფის მეპატრონეთ სახეში არა აქვსთ არც მღვდლის მოტყუება და არც სხვა რაიმე ცუდი განზრახვა. ზარდა ამისა ბევრნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მოერიდონ მღვდლის საყვედურს და შეწუხებას და თავის დროზე ვერ აცნობონ მღვდელს ავადმყოფთან მისვლა და იგი უაღსარებოდ და უზიარებლად გადაიცვალოს. ზოგჯერ იქმნება ავადმყოფთან მისვლა, როცა იგი დაჰკარგავს გრძნობას. ესენიც რომ არ იყოს, მღვდელს მაინც არ შეუძლია უარი უთხრას ვისმეს ავადმყოფთან წასვლაზე; სულიერი მწყემსი მცველია თავის სამწყსოისა და ამიტომ იგი ვალდებულია დაიცვას სამწყსო და აღასრულოს ყოველივე ის, რასაც ითხოვს მისგან სამწყსოის სარწმუნოებრივი საჭიროებანი და თავისი პირადი საქმე და მოსვენება უნდა შესწიროს თავის მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას. მღვდელს თავის პირად საქმეებს და მოსვენებას უნდა ერჩიოს თავის მოწაფის სულიერად განკურნება. შეიძლება ერთხელ და ორჯერაც უბრალოდ შეაწუხონ მღვდელი, მაგრამ ხშირად შეიძლება, რომ მღვდლის ავადმყოფთან დაუყონებლივ მისვლა აუცილებლად საჭირო იყოს და ამიტომ მწყემსს საბუთი არა აქვს საყვედური განაცხადოს, რომ იგი უბრალოდ შეაწუხეს და თავის საქმე დაატოვებინეს. ცხოვართა მწყემსი, რომელსაც ჩაბარებული ჰყავს ჯოგი, დაუყონებლივ გარბის იქით, საითკენაც რაიმე ხიფათს შენიშნავს და, როცა ხედავს, რომ არავითარიმე ხიფათი არ იყო, იგი, ნაცვლად მწუხარებისა იხარის და კმაყოფილია, რომ თავის მოვალეობა შეასრულა. იმავე გრძნობით უნდა იყოს აღჭურვილი მეტყველ ცხოვართა მწყემსიც. იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს გაეშუროს იქით, საითკენაც ეძახიან და სადაც საჭიროა მისი მისვლა მისი მოვალეობის აღსრულებისათვის. უმჯობესია ცოტაოდენი შეწუხება მიიღოს მწყემსმა, ვინემ თავისი დაუდევრობით დაღუპოს ვინმე სულიერად და ამით მიეცეს საყვედურს და სასტიკ პასუხის გებას ღვთისა და კაცის წინაშე.

სამძიმოა მღვდლისათვის იმ ავადმყოფის ნახვა, რომელიც რომელიმე გადამდები სენით არის ავად. ამისათვის არც კი შეიძლება დავძრახოთ სულიერი მწყემსი; იგი ერიდება, რომ ავადმყოფებისაგან სენი თავის ოჯახში არ გადიტანოს. თავის სიცოცხლის დაცვა აიძულებს მოერიდოს იმ ავადმყოფთან მისვლას, რომელიც რაიმე გადამდები სენით არის შეპყრობილი. მაგრამ მწყემსმა თავის სიცოცხლე უნდა შესწიროს თავის მოვალეობის აღსრულებას და სამწყსოსადმი სიყვარულს. მხედარი დაუზარებლად მიდის ჩხუბში, როცა აძას მოითხოვს მისგან ვალი ფიცისა და მისი უფროსი, თუმცა ადვილად შეიძლება, რომ იგი ჩხუბიდგან ცოცხალი კიდეც ვერ დაბრუნდეს უკან. აგრეთვე ექიმი არ უარობს და არც შეუძლია უარი სთქვას, როცა მას იწვევენ ისეთ ავადმყოფთან, რომელნიც რაიმე გადამდები სენით არიან შეპყრობილნი. ეკლესიის მწყემსს, მექონეს უმაღლესი ზნეობრივი სულისა და ხელ-მძღვანელს ხალხთა, რომ ამ უკანასკნელებმა მტკიცედ აღასრულონ ქრისტიანული მოვალეობანი, არ შეუძლია და არც უნდა ჩამოუდგეს უკან ზემოთ აღნიშნულ პირთა თავის მოვალეობის აღსრულებაში. მართლა, არც განგებ უნდა წააწყდე ხიფათს. გადამდები სენით ავად-მყოფების ნახვის დროს მღვდელმა უნდა იხელმძღვანელოს საექიმო რჩევებით და უნდა იხმაროს ყოველივე ის საშუალებანი, რომელთაც მოითხოვს კეთილ გონიერება, რომ შენი თავი დაიფარო სენისაგან. ყოველივე თადარიგის მიღების შემდეგ მწყემსი გაბედულად უნდა წავიდეს ავადმყოფთან. ამ დროს მასს უნდა ამხნევებდეს სასოება ღმერთზე, რომელიც გვიფარავს ჩვენ ყოველივე განსაცდელისაგან. მწყემსი სხვას უხსნის და აგონებს დაემორჩილონ ღვთის განგებულებას და თავათ როგორ უნდა ჩამოდგეს უკან. სულიერ მწყემსს მტკიცედ უნდა სწამდეს, რომ უფალი იცავს თავის ერთგულ მოსამსახურეთა, რომელნიც განსაცდელის დროს თავდადებულად ასრულებენ ქრისტიანული სიყვარულობის მოვალეობას. შეიძლება ავადმყოფისაგან მწყემსს სენი გადაედვას, მაგრამ მან მოთმინებით უნდა აიტანოს ყოველივე წვალება, რაც კი შეხვდება მას ამ სენისაგან. რაიმე გადამდები სენის დროს ხშირად ისინი ხდებიან ავად, რომელნიც სრულებით არ ეკარებიან ავადმყოფს, და ისინი კი, რომელნიც თავზე ადგიან და ავადმყოფებს უვლიან, უვნებელნი რჩებიან. სულიერ მწყემსს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი ღვთის ხელშია. როცა მწყემსს ეშინია გადამდები სენით ავადმყოფის ნახვა, მან უნდა მოიგონოს მაცხოვრის შემდეგი სიტყვები: **მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისათა, რამეთუ სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე...** ამ სიტყვებმა ყოველივე შიში უნდა დაავიწყოს მწყემსს, როცა მას სთხოვენ გადამდები სენით შეპყრობილი ავადმყოფის ნახვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მნიშვნელობა ჰქონდა კაპადოკიას საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში?

ქრისტეს სწავლა ვრცელდებოდა საქართველოში სხვა-და-სხვა დროს. ქრისტეს სწავლა იქადაგეს საქართველოში პირველად თვითონ მაცხოვრის მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანიტელმა. ეს ორი მოციქული მოვიდა პირველად დასავლეთ საქართველოში და მათ თავის ქადაგებით მოაქციეს ქრისტეს სწავლაზე მრავალი მეგრელები, აფხაზები და შავი ზღვის მიდამოების მრავალნი მცხოვრებნი, მაგრამ ამ მოციქულების შემდეგი მოდვაწეობა შეაფერხა მაშინდელმა საქართველოს მეფე ადთრკიმ. მზგავსად რომაელი მეფეებისა, მან დევნა დაუწყო ქრისტეს მოციქულებს და ახლად მონათლულთ. ამ მეფემ, როგორც მოგვითხრობენ, აწამა მოციქული სიმონ კანანელი. ანდრია პირველ-წოდებული ამის შემდეგ გადავიდა კლარდჯეთში, რომელიც ეკუთვნოდა მესხეთის მხარეს. აქ მოციქულმა ანდრიამ იწყო ქადაგება და ქრისტეს სარწმუნოებაზე ხალხის მოქცევა.

ამ დროიდგან იწყება სულიერი ერთობა საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილების მკვიდრთა შორის, რომელნიც აღიარებდენ ქრისტეს აღსარებას. ებრაელებ შორისაც, რომელნიც სცხოვრებდნენ მცხეთაში და მის ახლო-მახლო ადგილებში, გავრცელებული იყო ის აზრი, რომ მოახლოვებულ იყო აღთქმული მაცხოვრის გამოცხადების დრო; გარდა ამისა საქართველოს ებრაელნი ყოველ წლობით აგზავნიდენ იერუსალიმში აღრჩეულ პირთ პასექის დღესასწაულზე დასასწრებლად. ამ გაგზავნილ პირთა შორის ერთმა ებრაელმა, სახელად ელიოზმა მოიტანა მცხეთაში ქრისტეს კვართი, რომელიც წილ ხდომოდა მას. ქრისტეს წამების ამბავმა და იმ უბედურებამ, რომელიც თან მოჰყვა ქრისტეს ჯვარ-ცმას, მეტად დააფიქრა მცხეთელი ებრაელნი; მაგალითად ელიოზის დედამ, რომელიც ნათესავი იყო მღვდელ-მთავრის ელიასი, როგორც მოგვითხრობს ისტორია, როცა გაიგო, რომ ღვთაებრივი მასწავლებელი აცვეს ჯვარზე ებრაელებმა, სევდისაგან მოკვდა. მისმა ქალმა სიდონიამ ხელიდამ გამოსტაცა ელიოზს ქრისტეს კვართი, მიიკრა იგი გულში და იმ წამსვე განუტევა სული.

აქედამ სჩანს, რომ მოციქულთ-სწორის ნინას მოსვლამდის საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეებში ნაქადაგები იყო ქრისტეს სწავლა და ბევრგან ნიადაგიც მომზადებული იყო, რომ შემდეგ ქრისტეს სწავლა უფრო წარმატებით გავრცელებულიყო აქ. ამ ქადაგების ნამყოფი არის მირიან მეფის და მისი ხალხის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევა, რომლის მიზეზი იყო წმ. ნინა.

წმ. ნინას ქადაგებას უჭირავს მეორე და უმთავრესი ხანა ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში. შესანიშნავი ისა, რომ ქრისტეს სწავლის მქადაგებელნი ყოველთვის შემოდიოდენ საქართველოში დასავლეთიდამ, კაბადოკიიდამ, რომელიც ბუდე იყო საქართველოს მოციქულების. წმ. ნინა, საქართველოს განმანათლებელი, მეუღლა მირიან მეფისა დედოფალი ნონა, რომელიც დიდ მფარველობას უწევდა წმ. ნინას და ეწეოდა მას ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, აგრეთვე 13 სირიელი მამანი საქართველოს ეკლესიისა ყველანი კაპადოკიდამ იყვნენ შემოსულნი საქართველოში.

ახლა იბადება შემდეგი კითხვა: რა დამოკიდებულება ჰქონდა კაპადოკიას საქართველოსთან? როგორც ისტორია ისე სწავლულნი ბროსე, პროფესორი ჩუბინაშვილი და სხვანი მრავალნი ამტკიცებენ, რომ კაპადოკია იყო ქვეყანა ლაზების—მეგრელებისა, რომელნიც ეკუთვნოდენ ქართველებს და მიმოსვლა ჰქონდათ როგორც ბიზანტიასთან, ისე სამესხეთოსთან და ზემო ქართლთან, რომელშიაც ესახლენ უწინდელი მოსოხები ანუ ეხლანდელი მესხები.

უმთავრესი მიზეზი მისი, რომ წმიდა ნინამ და 13 სირიელმა მამებმა გაავრცელეს ქრისტიანობა საქართველოში, მდგომარეობდა მასში, რომ იგინი ნათესავნი იყვნენ იმ ხალხისა, რომელსაც უქადაგებდენ ქრისტეს სარწმუნოებას და ამასთან იცოდნენ ამ ხალხის ენა და ჩვეულებანი.

ქრისტეს ეკლესიას, რომელიც დაარსა წმიდა მოციქულთ სწორმა ნინამ, ესაჭიროებოდა კიდევ მქადაგებელნი, რომელთაც ცხოველი სიტყვით, კეთილი ცხოვრებით და კეთილი საქმეებით წინააღმდეგობა გაეწიათ ზოროასტრის სწავლისათვის; ამ სწავლის წინააღმდეგ იბრძოდა ვახტანგ გორგასლანი (446—449). დაბოლოს მეფე ფარმან VI დროს (542—557) მოვიდნენ ხსენებული სირიელნი მამანი, რომელთაც საბოლოოდ დამაკვიდრეს ქრისტიანობა. წმ. იოანნე ზედაზენმა, რომელიც ყველა ამ მამათა თავი იყო, აღმოირჩია თავის საცხოვრებელ ადგილად მთა ზადენისა, კერპთ-თაყვანის მცემელთა უმთავრესი ღმერთისა, სადაც იყო მრავალი ბომონი (ტაძარნი კერპთა). წმ. იოანნემ გაგზავნა თავის მოწაფენი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, გარდა მთავარ-დიაკვნის ელიასი. თვითონ დაესახლა ამ მთაზე, რომ ამსახით ფესვიანად ამოეგდო ზოროასტრის სწავლა.

წმ. მამათა სათნო ცხოვრებამ იმდენად მიიქცია ყურადღება, რომ ქათალიკოსი—პატრიარქი მაკარი, ეველავის სიკვდილის შემდეგ დანიშნულ იქმნა მის ადგილზე წმ. შიო მღვიმელის შთაგონებით. ეს ფაქტი ამტკიცებს, თუ რა მაღლა იდგა წმ. შიო ზნეობით. ამიტომ ჩირმაგის სიკვდილის შემდეგ, რომელიც შთამომაველობით ბერძენი იყო, ქათალიკოსებად ირჩევდენ ქართველებს წარჩინებულ გვართაგან. ამას გარდა ამ მამათა წმიდა ცხოვრება მოქმედებდა გარეულ მხეცებზედაც, მაგალითად, წმ. იოანნე ზედაზენს მოსამსახურედ ჰყავდა დათვი, ხოლო ლავით გარეჯელს—ირემი.

ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ამ წმ. მამებს ხელს უწყობდა მეფე ფარსმან VI, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა საქართველოს ეკლესიის კეთილ განწყობისათვის. იმ მონასტრებიდგან, რომელნიც დაარსეს სირიელმა მამებმა, მოიფინა საქართველოს მკვიდრთა შორის სულიერი განათლება და მაგალითი ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისა. მრავალ რიცხოვანი ძმანი, რომელნიც იკრიბებოდენ ამ წმიდა მამათა გარეშემო, გარდა ღვთის-მსახურებისა, ასწავლიდენ ახალ თაობას, უკეთებდენ წიგნებს ყდებს, სწერდენ წიგნებს, რომლებითაც ღმერთსაც ადიდებდენ და სამწყოსაც ასწავლიდენ.

მაგრამ მარტო ერთი ცხოველი სიტყვა საკმაო არ იყო ხალხისათვის, რომელშიაც თავი იჩინა მაჰმადის სარწმუნოებამ. ეს სწავლა შემოიტანეს საქართველოში არაბებმა მეშვიდე საუკუნეში მეფის მირის და არჩილის დროს (663—668), რომელიც კიდეც ეწამა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. მთელი აღმოსავლეთის საქართველო დაიპყრეს არაბებმა. არაბეთის სარდალი მურვან-კრუდაჟე თავის ჯარით შემოესია იმერეთს და უნდოდა დაეპყრო მთელი საქართველო, მაგრამ არგვეთის თავადებმა წმ. დავითმა და ძონსტანტინემ, რომელთაც თავის სიცოცხლე შესწირეს სარწმუნოებას და სამშობლოს, იმდენი წინააღმდეგობა გაუწიეს მოსლემანთ, რომ დასავლეთის საქართველო მაინც ქრისტიანებს დარჩათ. ბაგრატები, რომელთაც წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს არაბებს აღმოსავლეთის საქართველოში, დაიხიზნენ მესხეთში, რომელიც სამშობლო იყო პირველ ბაგრატებისა. მესხეთში მოფენილი იყო სკოლები და მონასტრები; აქაური სკოლების და მონასტრების სასარგებლოდ არას შურავდენ ბაგრატ III და IV. არაბთა განათლებამ, მათ მეჩეთებთან დაარსებულმა სკოლებმა და მათმა ცდამ, რომ მაჰმადის აღსარება გავრცელებიათ საქართველოში, გამოიწვია ბაგრატების მხრით ძლიერი წინააღმდეგობა. ძაბადოკიამ, მართალია, მისცა საქართველოს მოციქულები და სახარების მქადაგებელნი, რომელნიც ცხოველის სიტყვით ავრცელებდენ ხალხში ქრისტეს სწავლას, მაგრამ მეორეს მხრით მესხეთმა მიანიჭა საქართველოს ეკლესიას ღვთის-მეტყველნი, რომელნიც გარდა ცხოველი სიტყვისა, აღჭურვილნი იყვნენ მეცნიერებით და კალმით. წმ. მწიგნობრებმა გიორგი მთაწმინდელმა, ექვთიმემ და იოანნემ, რომელნიც მკვიდრნი იყვნენ ბათუმის სათემოისა, დაინახეს, რომ ქართულს ენაზე ნაკლებად იყო ნათარგმნი საეკლესიო წიგნები, ამიტომ განიზრახეს ახლად შედგომოდენ საღმრთო წიგნების თარგმნას და გაამრავლეს ღვთის-მსახურების წიგნების რიცხვი. შემდეგ ეს წიგნები დაურიგეს საქართველოს ყველა შესანიშნავ ეკლესიებს. ამ წმიდა მამებს სურდათ დაახლოებოდენ მაშინდელი დროის ქრისტიანულ განათლებას და ამ მიზნით მათ ათონის მთაზე აღაშენეს ივერიის მონასტერი, რომლიდგანაც ვრცელდებოდა საქარ-

თველოში სასულიერო განათლება. ქართული წიგნთ-საცავი, რომელიც დაცულია ივერიის მონასტერში, დღესაც აკვირვებს მნახველთ თავისი სიმდიდრით.

აქედამ ცხადათა სჩანს, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში კაპადოკიას და მესხეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველს მისსიონერული მოღვაწეობით, ხოლო მეორეს სასულიერო განათლებით 11-ტე საუკუნემდე, რომლის შემდეგ მესხეთმა მისცა საქართველოს გამოჩენილი მწერლები, რომელთაგან განსაკუთრებით შესანიშნავი იყვნენ სარგისთმოგველი, მთარგმნელი «ვისრამიანისა» პერსიული ენიდგან და შოთა რუსთველი, ავტორი «ვეფხვის ტყაოსნისა!!

მაგრამ ბოლოს დრო შეიცვალა, ლაზები და მესხები, რომელნიც უწინ გვანათლებდენ ჩვენ, თავიანთ ძმებს ქრისტეს სწავლით, დღეს აღიარებენ მაჰმადის აღსარებას.

განა ჩვენი წმიდა მოვალეობა არ არის, რომ ჩვენც სამაგიერო შემწეობა აღმოუჩინოთ მათ და მათში ხელახლად აღვადგინოთ ქრისტიანობა?

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მოგზაურობა ახალ-ციხის მაზრაში.

6 ამა ივლისს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი გაემგზავრა ახალ ციხის მაზრაში მისდამი რწმუნებული ეკკლესიების და მონასტრების დასახედავად. ამავე დღეს მათი მეუფება არქიმანდრიტი ნიკოლოზითურთ მიბრძანდა ბორჯომში. მეორე დღეს აქედამ ეგზარხოსი გაემგზავრა სოფ. აწყურში იქაურის ძველის ტაძრის სანახავად, რომელიც ეხლა თითქმის სულ დაქცეულია. ამ ტაძარს ეგზარხოსმა პალლადიმ დიდი ყურადღება მიაქცია. აწყურიდგან ეგზარხოსი გაემგზავრა ახალ-ციხეში, სადაც დიდის ამბით მიეგებნენ. ამავე დღეს დაათვალიერა საფარის მონასტერი (12 ვერსზეა ახალ-ციხიდგან), სადაც საღამოს რვა საათამდე დარჩა და შემდეგ დაბრუნდა ახალ-ციხეში, ქალაქში ეგზარხოსმა დაათვალიერა ძველი ციხის ტაძარი და წმიდა მარინეს ახლად აგებული ეკკლესია. ეგზარხოსი აბასთუმანს მხოლოდ მეორე დღეს აბრძანდა. გზაზე დაათვალიერა ზარზმის მონასტერი, ეს მონასტერი არის ქართველ მაჰმადიანთა სოფელში. შესანიშნავი ის არის, რომ ამ მონასტერს უყარაულებენ ერთის მაჰმადიანი ქართველის შთამომავალნი მეჩვიდმეტე საუკუნედგან. ეგზარხოსი კარგა ხანი დარჩა ამ მონასტერში. მართალია, ამ სოფელში არც ერთი ქრისტიანი არ არის, მაგრამ მცხოვრებნი ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. აბასთუმანს ეგზარხოსმა ინება პირდაპირ ტაძარში მიბრძანება. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა აბასთუმანში დარჩა ათ დღემდე. აქ ყოფნაში ეგზარხოსი ეკკლესიაში წირვის შემდეგ ურიგებდა ხოლმე ხალხს პატარა ჯვრებსა და წიგნაკებს. დაათვალიერა აქაური ფერშლების სასწავლებლის ბანაკი და სამხედრო საავადმყოფო. 17-ს მკათათვეს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა გაემგზავრა ახალ-ქალაქში, სადაც დარჩა მეორე დღემდე.

მეორე დღეს, მკათათვის 18-ს, ეგზარხოსი პალლადი წაბრძანდა ვარძიის მონასტერში. ეს მონასტერი, სადაც ეხლა ერთი მღვდელ-მონოზანი სცხოვრობს, თავის დროს ძალიან დიდი მონასტერი ყოფილა. ტაძარი და ბერების საცხოვრებელი სენაკები სულ კლდეშია გამოქვაბული. ამ მონასტერში ამ გვარად გამოქვაბულია ექვსასამდე ბერის სენაკი. ამ მონასტრიდგან ეგზარხოსი დაბრუნდა უკანვე ახალ-ქალაქში, სადაც დარჩა მეორე დღემდე, და მეორე დღეს, 19-ს მკათათვეს, წაბრძანდა ბორჯომს.

გზაზე პურ-მარილით ეგებებოდნენ სოფლელები და მათ შორის სომეხთა მღვდლებიც, რომელთაც ხელში ეჭირათ ჯვრები. მთელი გზა ბორჯომამდე ხალხით იყო მოფენილი. საქართველოს ეგზარხოსი ბორჯომს დარჩა მეორე დღემდე, მეორე დღეს, 20-ს ამ თთვისას, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ბორჯომიდგან რკინის გზით ჩამობრძანდა ტფილისში. «ივერია.»

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. რედაქტორო! დიდი ხანი არ არის, რაც გურიისა სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ გადმოიყვანა ჩვენი სოფლის ლეგერსამის მაცხოვრის ეკლესიაზედ მღვდელი ვ. ბერიძე. ხსენებულმა ეკლესიის სიღარიბემ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მ. ბერიძეზე. ქვითკირის კედლებ გარდა ეკლესიაში თითქმის არავითარიმე მოართულობა არ ყოფილა. ეკლესიის კედლებიც ფუჭდებოდენ, რადგან სახურავი წყალს ველარ იკავებდა. მართალია, ამ ეკლესიის მრევლი ღარიბია და ამიტომ შესაფერად ეკლესიის მოართვა და მოწყობა მათ არ შეუძლიათ, მაგრამ ამ ტაძრის სიღარიბის მიზეზი სხვაც არის. საზოგადოდ მთელს სამეგრელოში კი შემოსავალი აქვს იმ ეკლესიებს, რომელნიცა აღშენებულნი არიან თავარანგელოსის და წმიდა გიორგის სახელზე, სხვა წმიდანების სახელზე აღშენებულ ეკლესიებში მლოცველებიც, საზოგადოდ, მცირედ დადიან და შემოსავალიც ძალიან ნაკლებია. მ. ბერიძე ერთგულად შეუდგა მისდამი რწმუნებული ეკლესიის გამშვენებას. მან შემწეობა სთხოვა ამ საქმეში როგორც ადგილობით მრევლს, ისე კერძო პირებს. თავის მეცადინეობით და კერძო პირების დახმარებით ამ სულიერმა მწყემსმა ეს ღარიბი ეკლესია შესამჩნევად მოართო და შეამკო საჭირო ნივთებით. პირველად გადახურა ეკლესია; ეკლესიაში დაადგა მშვენიერი ქვის იატაკი, ტაძარს გაუკეთა მშვენიერი კარები და ფანჯრები; დღემდის სამრეკლო არ იყო ეკლესიასთან; მ. ბერიძის მეცადინეობით გაკეთდა ხის მშვენიერი სამრეკლო. მოიპოვა ვერცხლის მშვენიერი ბარძიმ-ფეშხუმი თავის მოწყობილობით, ვერცხლის ორი ლანგარი, გვირგვინები, სპილენძის ემბაზი, ტრაპეზზე დასასვენებელი დიდი ჯვარი და საცეცხლური, რამოდენიმე ხატი, საეკლესიო წიგნები და ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი. ამ კეთილ-საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის მადლობის ღირსია სამრევლო ამა ეკლესიისა და უმეტესად კერძო პირები, რომელთა შორის არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ამავე სოფლის მცხოვრები დ. ძველი სენაკის ვაჭარი აზნაური თადეოზ ბერსამია, რომელმაც შემოსწირა ეკლესიას ტრაპეზზედ დასადგმელი სანაწილე, ღირებული 40 მანეთად, ქ. ქუთაისის ვაჭარი ივანე ქემულარია, რომელმაც შემოსწირა ეკლესიას ორ ოქროთი მოვარაყებული ბაირაღი თავის მოწყობილებით, ღირებული 30 მანეთად. ამ პატიოსან პირთა მაგალითისათვის მიუბაძავთ დაბა სამღვდროს მოვაჭრეთ, აზნაურთ გერსამიებს, რომელთაც განუზრახავთ შემოსწირონ ჩვენს ეკლესიას საეკლესიო წიგნები: «სადღესასწაულო და სამოციქულო» და აგრეთვე დიდი შანდლები.

იმედია, რომ ზემოთ აღნიშნულ პირთ მიმბაძველნი აღმოიჩნდებიან ჩვენ სამრევლოში და არ დაიზარებენ თავისი ეკლესიის გამშვენებისათვის მცირე შეწირულობას. ჩვენს ხალხში ნელ-ნელა იღვიძებს და შემდეგში, იმედია, თან-და-თან გაძლიერდება, ზოგიერთ ჩვენ პატიოსან სულიერ მწყემსთა მეცადინეობით, ის გრძნობა, რა გრძნობითაც იყვნენ აღჭურვილნი ეკლესიებისადმი ჩვენი მამა-პაპანი, რომელნიც ტაძრების და მონასტრების გამშვენიერებისათვის არას ზოგავდენ.

„სერიოზული“ ენათ-მეცნიერი.

შინაარსი: შესავალი. მეცნიერება, თუ ხელოვნება.—ფილოლოგიური გარჩევა სიტყვისა ღმერთი.—ენათმეცნიერული «ერუდიციონი» დაგით კარიჭაშვილისა და მისი ჩიქორთული.—ჩიტირეკია.—ბ. კარიჭაშვილი, როგორც პატალოგიური მოვლინება.

მიკვირს, მ. რედაქტორო, რათ «მწყემსმა» არ მიიღო მონაწილეობა იმ სამესისხლო ომში, რომელიც, კაი ხანია, ამტყდარია ჩვენს მწერლობაში და რომელსაც ისტორია, უეჭველია, დაარქმევს «საღრამატიკო ომს». ასეთის გულგრილობისათვის მომავალი მეისტორიე თქვენს გაზეთს ხომ გაიცხავს. მგებ თქვენ ფიქრობთ, «ჩიტი ბღღენად არა ღირსო», მაგრამ შემცდარი ბრძანდებით. რომ არ ღირდეს, განა იმისთანა ომში მოასპარეზედ გამოვიდოდა ასეთი ბუმბერაზი, როგორიც არის ბ. ქარიჭაშვილი?

ომის დაწყებისას ეს სახელოვანი რაინდი შორს დარჩა ბრძოლის ველიდგან, «უცხოს და უცხოს ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილსა საძებრათ («მეცნიერულთა» თავგადასავალთა) იარებოდა. მაგრამ იმ ცხრა მთითგანაც გამოტყორცა ორიოდე ისარი თვისის «რისტომის მკლავ უგრძელითა», თუმცა (ვაგლახ გმირო!) ტყორცნილი მიზანს ვერ მოწვდა. შემდეგ თვით აქ მოიმართა ბუმბერაზი, დაჭექა-დაიგრიალა: «მოასპარეზედ ვინ მჯობსო!» და, რაც ჩვენში ფალავნები იყვნენ, ერთის ლახტის დაკვრით განფანტა. ეს ლახტი გახლავსთ შესანიშნავი, ამ საუკუნის, სატირა «საქებართა ქებანი», რომლისა მსგავსი არც ვოლტერს დაუწერია რამე, არც სვიფტსა. (სითავდაბლით გვეუბნება ავტორი: მე ქართველების ვოლტერი ვარო, თორემ ნამდვილათ ვოლტერი ამასთან როგორ მოვა?) სატირიკოსი დარწმუნდა, რომ დევ-გმირები სამუდამოთ მიიყუჟენო, მაგრამ (ნახეთ სიმუხთლე ბედისა!) ამ «ლახტის» დაკვრამ ყველაში გამოიწვია ისეთი ღიმილი, როგორსაც გამოიწვევს ხოლმე «ტიკტიკი ჩვილის ყრმის, გაგონება უცნაურის მისის ხმის».

ამითი გული არ დაიჩაგრა ჩვენმა ვოლტერმა, თქვა: не пробьешь ихъ (ვითომ ახლანდელს ქართველ მწერლებსაო) дубьемъ, гдѣжъ пробить сатирой!... იფიქრა: რაკი არც დაცინვამ გაჭრა, არც თეორიული კანონმდებლობა მოქმედობსო, ისევ პრაქტიკულათ მოვახდენო ენაში რეფორმას; ამით უფრო დავადგენო ერას ქართულს მწერლობაში. ამ განზრახვით გამოსცა ახლა შესანიშნავი რამ მოთხრობა (მოშურნეები ამბობენ—«დომხალიაო») «სამი სხვერპლი». მგულვებოდა: ამისი გულთ-წარმტაცი შინაარსი ჩაითრევსო ქართველობას და «რეფორმაც» ქართულს ენაში თავისთავათ მოხდებაო. მაგრამ (ჰოი ქართველთა გაუტეხლობავ!): გენიოსი ვერ იცნეს და ვინცალა სანოძ, წინარწმენით აღჭურვილმა, საქვეყნოთ უარყო ამ მოთხრობის ყოველივე ღირსება. აბა, ჯერ როგორ მიწვდება ქართველობა იმისს ღრმა შინაარს! ეგებ შთამომავლობამ დააფასოს.

პირველის თხზულების, «საქებართა ქებანის», შესახებ ჩვენ რა შეგვიძლია გამოვთქვათ? იგი ისე მაღლა დგას ყოველს კრიტიკაზე, რომ მას მარტო სანდალა თუ დააფასებს, სხვა ვერვინ. ჩვენ მხოლოდ ორი აზრი გვინდა ვაუწყოთ «საქებართა ქებანის» წამკითხველებს. პირველი ისა, რომ ბ. ძარიჭაშვილი კვიროდა: რატომ ქართველები რუსულს ლაპარაკობენო. ახლა აღარ კვირობს, «ახლა შეუტყვიაო» და დღეს ყველაზედ მეტად ქარგავს ქართულ სიტყვა-პასუხს რუსულის ფრაზებით (ფრანგულითაც რომ ქარგავს, ეგ არაფერია: ვოლტერიც ფრანგი არ იყო!) მხოლოდ ამითი ჩამოუდგა ჩვენი რაინდი მეორეს «უშიშარს და უზადო რაინდს», პ. მ—შვილს, რომელიც დღესაც შეუპოვრათ დგას თურმე თავისაზე. მაგრამ იმედია ისიც მალე «შეიტყობს». მეორე აზრი «საქებართა ქებანის» შესახებ ჩვენ გვსურს გამოვთქვათ სხვისი სიტყვებით, რაც არა ერთხელ გაგვიგონია ჭკუიერის კაცებისაგან. აი რა: «ვინც ყველაფერს უკუთქმიდეს, იგი არარასა უკუთქმიდეს: მან არა უწყის რა და არცა რა გაეგება... უკუთქმა და ეჭვი სულ სხვადასხვა საგანია. პირველი წაგაქეზებს ახალის კვლევისათვის და მით ავითარებს კაცს. ხელმოდებ უკუთქმა უგუნურობის შედეგია... ვინც წამდაუწუმ იღრიჭება და სხვებს ქირდავს, ეს არის უტყუარი ნიშანი იმისი, რომ ამისთანა კაცი არის რეგვენი, და რაკი საგნის ანალიზი არ შეუძლია, მოღიზღარობით იოლათ გამოდის და თავსაც ყველაზე მაღლა იგდებს. მისი საქციელი და სიტყვა-პასუხი არის სისულელის დასაფარავათ ასხმული ნილაბი...»

ზემოხსენებულის ორი წიგნაკის მიზანი, როგორც ვთქვით, სხვათა შორის, ის იყო რომ ბ. ძარიჭაშვილს წყუროდა თავისი უწმაწური ალნაქვსი შემოეღო მწერლობაში. როგორ მოხდებოდა აბა ეს. ასეთის დამახინჯებულის ენით თვით სანდალაც ვერ დაწერს, სხვა კი, განგებაც რომ მოინდომოს, მაშინაც ვერა. წარმოიდგინეთ «საქებართა ქებანი» რა პაწაწა წიგნაკია—ხელისგულის ოდენა და 34 გვერდიანი, შიგ კი 200, სწორეთ 200, ეტიმოლოგიური შეცდომაა. მეორე წიგნში «სამი სხვერპლი» 300 იგეთივე შეცდომაა. სინტაქსურათაც გავსინჯეთ და ათში ერთი წინადადება და წინადადების წევრნი თუ არის თავ-თავის ადგილს დალაგებული, დანარჩენი სულ წინააღმდეგია ენის ბუნებისა და აგებულობის. უფრო ველსავე ამას ამ წერილის ბოლოს განვიხილავთ. ახლა კი დრო-გა პირ-და-პირ ჩვენს საქმეს შევუდგეთ.

საქმე ისაა, რომ, რაკი ბ. ძარიჭაშვილი იმ ორის წიგნაკით ველარას გახდა, ახლა კრიტიკოსობას მოკიდა ხელი და გადაწვდა «სწორმეტყველებას», პოლიევქტ ქვიცარიძისგან შედგენილ სახელმძღვანელო წიგნს. ამით უნდოდა ორი კურდღელი დაეჭირა. ერთი—რომ განიზრახა თავისი ენათმეცნიერობა გამოეჩინა, მოესპო საერთოთ მიღებული სწორმეტყველობის წესები. აბა რას გაუშვებდა ასეთის მედიდური სათაურით გამოდიდრაჯებულ წიგნს—«ქართული სწორმეტყვე-

ლებაო». მერე კიდევ—იმის ავტორთან ცოტა რამ პირადი ანგარიში უნდოდა გაეწმინდა... და ამიტომ მოიწყენა, როგორმე გაებალთა და გაენიავებინა «სწორმეტყველება». ვნახოთ, როგორ მიაღწია თავისს «ოხჭანს».

მკითხველს ეხსომება, რომ ბ. ყვიცარიძის «სწორმეტყველება» გამოსცა ცნობილმა ზ. ჭ—მ. და ისე საძაგლათ გამოსცა, რომ ავტორმა წიგნი თავისად ველარ იცნო და სამჯერ გამოაცხადა «მწყემსში» და «ივერიაში», რომ წიგნი ხელში არ აიღებაო და ხელმეორეთ უნდა გამოეცეო, სინტაქსის დართვით. ამის გამო იყო, რომ არც ერთმა ამ გაზეთთაგანმა ამ წიგნზე ხმა არ გაიღო. თორემ ბ. ქარიჭაშვილისთანა კრიტიკოსები კიდევ გამოჩნდებოდენ. აბა როგორი ჭკვათამყოფელი იკისრებს წიგნის გარჩევას, თუ კი არ იცის—რა ეკუთვნის ავტორს, რა—გამომცემელს, რა—«ჩვენგან დამოუკიდებელს მიზეზს» და სხვ. მიუხედავათ ამისა ბ. ქარიჭაშვილმა თავისის ქონის დასაურვებლათ ასწია და «დაიწყო» კრიტიკანობა და, რაც კი აშკარა კორექტურული (ან უკეთ ეთქოთ—უკორექტორობის გამო) ნაცთომები შეხვდა, იმასაც კი უკირკიტა.

ჩვენ ამ წიგნს ახლო ვიცნობდით დაბეჭვდამდეც და ამიტომ ეკითხეთ ავტორს, რათ პასუხს არ აძლევს უმართლო კრიტიკოსს. მან ანდაზით მოგვიჭრა: «რამდენი ძაღლი კაცს გზაზე დაუყეფს, ყველას როს ჯოხი უქნიოს, შინ როდისღა მივალ». მერე მაინც კი გვითხრა მოკლეთ, თუ როგორ უმართლოთ არჩევს ბ. ქარიჭაშვილი მისს წიგნს. ვერც იმ ანდაზას და ვერც ავტორის მოკლე ზეპირ ანტიკრიტიკას ჩვენ ვერ ვიკმარებთ... და ავტორსაც გავანთავისუფლებთ გამოცემის დროს წინასიტყვაობისაგან.

თუმცა ბ. ქარიჭაშვილის კრიტიკა თავით ბოლომდე სიცრუეა და ბალღური (როგორც ქვევით დავინახავთ), მაგრამ შიგ ორი განსხვავებული საკითხი არის წამოყენებული (კრიტიკოსის უნებურათ) და ამ საკითხებს ახლავე გვინდა მოვრჩეთ. მერე ისევ თავითგან დავუბრუნდებით და გამოვწვლილავთ ამ უსუსურს და გამოწლილ კრიტიკას.

პირველი ამ ორ საკითხთაგანია ის, რომ კრიტიკოს დაუჟინია—ღრამატიკა მეცნიერება არისო. მეორე—ფილოლოგიურ-ისტორიული გარჩევა სიტყვისა ფერთი. ჯერ პირველი შევეტყოთ, ვინ მართალია. ბ. ქარიჭაშვილი, რომელიც ღრამატიკას ცალკე მეცნიერებად რაცხს, თუ ბ. ყვიცარიძე, რომელსაც—პირიქით ღრამატიკა მეცნიერებად არ მიაჩნია. მოვიყვანოთ თვით კრიტიკოსის სიტყვები:

«სწორეთ მოგახსენოთ, ძალიან გაგვიკვირდა (გაკვირვებაც კრიტიკოსს ცალკე ნიჭიერებად მიაჩნია: «საქებართა ქებანში») გვიცხადებსა, რომ იმისთანა გაკვირვების ნიჭი ზეზეს მიწას კაცს არ აქვს გარდა ქათმისა), როდესაც ყვიცარიძის «სწორმეტყველებაში» ამოვიკითხეთ შემდეგი: «გრამატიკა საერთოთ არ არის მეცნიერული შრომა». ჩვენ სრულებით წინააღმდეგის აზრისა ვართ და ვფიქრობთ, რომ გრამატიკა უეჭველათ მეცნიერული შრომა უნდა იყვეს... გრამატიკა, თუ მეცნიერება არაა, მაშ რა უნდა იყვეს? ხელოვნება? თუ ეს ასეა, მაშ ყოველს ენაში იმდენი გრამატიკა უნდა იყვეს, რამდენიც შემდგენელია (მეცნიერების შედგენა!) ხოლო გრამატიკა კი ერთია ყველა (თუ თვითეულს?) ენაში. (ასე რომ კრიტიკოსის აზრით ერთის ენის გრამატიკა თუ იცი, მაშინ ყველა ენებისაც იცი. თუ რას ამბობთ ვერ გავიგეთ) როგორც ერთია თეოლოგია, ანთროპოლოგია (სულელოგია და ქარაფშუტოლოგია დაგვიწყნიათ) ისტორია. მართალია სხვა-და-სხვა გრამატიკოსების შორის ხშირად არის ხოლმე აზრების სხვა-და-სხვაობა, მაგრამ ეს იმავე მეცნიერულის შრომის შედეგია, როგორც გეოლოგოსების შორის მომხდარი უთანხმოება». (იხ. „თეატრის“ № 15 1888 წლისა).

ერთი სიტყვით კრიტიკოსს უნდა დაგვაჯეროს, რომ, რაკი ღრამატიკა ხელოვნება არ არის, უთუოდ მეცნიერებაა. ასე რომ, თუ პეტრე არა ხარ, უთუოთ პაველ იქმნები. ვინც გენიოსი არაა, ის უთუოთ რეგვენია. თუ კაჭკაჭი არა ხარ, უთუოთ თხა იქმნები. თხა, კაჭკაჭი, სპილო... თვითეული ამათგანი მეცნიერებაა. რატომ? და ერთი იმიტომ, რომ თხა, კაჭკაჭი, თიკანი... ხელოვნება არაა. მეორე იმიტომ, რომ მათ განიხილავს ერთი მეცნიერება, რომელსაც ზოოლოგია ქვია (აი გიდი!). ფიცარი სახლია, იმიტომ რომ ფიცარს სახლის საშენათ ხმარობენ. ტალახი ხელოვნებაა იმიტომ, რომ ტალახს ხუროთ-მოძღვრები შენობისათვის ხმარობენ. რა ლოლიკაა! რა სილოგიზმია!

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

სასიამოვნოა, რომ მართებლობის უმაღლესმა პირებმა ყურადღება მიაქციეს ჩვენი გამოცემის უკანასკნელი ნომრების მოწინავე სტატიებს «ახალი დაბრკოლებანი აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში». ამ სტატიებში აღვნიშნეთ ჩვენ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქრისტიანობის გავრცელების საქმე აფხაზეთში და რამოდენად შეაფერხებს ამ საქმეს ახლად მონათლულ აფხაზთა სალდათად გაწვევა. ამავე საქმის შესახებ ჩვენ, პეტერბურგში მყოფობის დროს, ლაპარაკი გვქონდა უწმიდესი სინოდის უმაღლეს პირებთან, რომელთაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ ჩვენგან გამოთქმული აზრისათვის და ამ საქმის შესახებ კიდეც დაუწყიათ მიწერ-მოწერა, სადაც ჯერ არს. იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენგან აღძრული კითხვა გაქრისტიანებულ აფხაზების სასარგებლოდ დაბოლოვდება.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთი თავად-აზნაურნი საქართველო იმერეთის სინოდალურ კანტორაში მეტრიკული მოწმობების მიღების შესახებ გაგზავნილ თხოვნებში სდებენ ფულს კანცელარიის ხარჯისათვის, რომ ამ სახით მოწმობები მალე მიიღონ. მაგრამ ფულის რაოდენობას არ აწერენ პაკეთზე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის ფულები, რომელნიც ფარულად იქმნებიან ჩადებულნი თხოვნაში და პაკეთზე კი არ იქმნება მოხსენებული, რომ კონვერტში ფულია ჩადებული, კანტორის კანცელარიის სასარგებლოდ არ მიიღებიან, არამედ დასჯათა წესდების 1123 მუხლით შეირიცხებიან სახელმწიფოდ. მეოთხედი ნაწილი ამ ფულისა ეძლევა მას, ვინც აღმოაჩენს ამ ფულს, ხოლო დანარჩენი იგზავნება ხაზინაში.

***

გამოვიდა და ისყიდება ქართული ალმანახი „ცდა“. წიგნი ღირს ათი შაური. ის ფული, რომელიც შემოვა ამ გამოცემისაგან, დანიშნულია შემდეგი ალმანახისთვის. გარეშე პირთ შეუძლიათ წიგნი დაიბარონ ამ ადრესით: ქუთაისს, სააზნაურო სკოლის მასწავლებელს ალექსანდრე გარსევანაშვილს. იმისავე სახელზე უნდა გამოიგზავნოს სტატიები მეორე წიგნისთვის. სტატიისთვის სასყიდელს ვერავინ მიიღებს.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ პ. უვიცარიძე აპირებს დაბეჭდვას ერთის პაწაწა წიგნისას, რომლისთვის სახელად დაურქმევია «დრამატიკული თავთავები». ამ წიგნაკის შინაარსი გამოკრებილია თურმე მისისავე «სწორმეტყველებიდგან, და გამოსადეგი იქნებაო მარტო სამზად კლასებში, პატარებისთვის. თვითონ «სწორმეტყველება» კი ჯერ ვერ დაიბეჭდებაო სიდიდისაგამო: ავტორს ის წიგნი შეუმუშავებია და შეუვსია. და თუ როდისმე დაბეჭდა, ორისავე ნაწილის ერთად დაბეჭდვა სურს.

***

ამ რამოდენიმე წლის წინად ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლების სამართველოთ უწმიდესი სინოდისაგან უფლება მიენიჭათ, რომ მეოთხე კლასის მოწაფეებში ამოერჩიათ საუკეთესონი და გაეგზავნათ სემინარიის პირველ კლასშიდ შესასვლელად. სამმართველოებისაგან გაგზავნილ მოწაფეებს გამოუცდელად იღებენ სემინარიის პირველ კლასში. ამასთანავე უწმიდესი სინოდი თავის უკაზში სწერდა: «თუ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების სამმართველოები გაგზავნიან სემინარიებში უღირსთ, მაშინ სასულიერო სემინარიის სამმართველოს უფლება ეძლევა ხსენებულ სასწავლებლებში გაგზავნოს რომელიმე მასწავლებელი მეოთხე კლასის მოწაფეთა გამოცდაზე დასასწრებლად. ამ მასწავლებელს ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლებთან ერთად უფლება ეძლევა მსჯელობა იქონიოს, თუ კურს დამთავრებულებში რომელნი არიან ღირსნი სემინარიაში გაგზავნისა!!

ამ უფლებით, როგორც რუსული გაზეთები გვაუწყებენ, კარგად ვერ უსარგებლიათ ზოგიერთ ოთხ-კლასიან სასწავლებელთა სამმართველოებს, რომელნიც ბევრ მოუმზადებელ მოწაფეებს აგზავნიან სემინარიაში, რაისა გამო ზოგიერთი სემინარიების ძირა კლასებში სწავლის საქმე ძალიან დაეცა. ამ სამწუხარო მოვლენას მიაქციეს ყურადღება და დღეს სამასწავლებლო რჩევაში, რომელიც უწმიდეს სინოდთან არსებობს წინადადება შეუტანიათ, რომ უმეტესი უფლება მიენიჭოსთ სემინარიის იმ მასწავლებლებს, რომელნიც გაგზავნილ იქმნებიან ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მეოთხე კლასის მოწაფეების გამოცდაზე დასასწრებლად.

***

თბილისის სასულიერო სემინარიის ახლად დანიშნული რექტორი არქიმანდრიტი ნიკოლოზი 29 ივლის მოვიდა თბილისში.

***

გაზეთ „ივერია"-ში იყო ნათქვამი: «თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ყოფილი არქიმანდრიტი პაისი ამ დღეებში წავა პეტერბურგს, სადაც სიტყვაში გამოცდის შემდეგ ეპისკოპოსად აკურთხებენ». ეს აბმავი მართალი არ არის.

***

გაზეთ «ძავკაზში» სწერია: «თბილისის საბჭომ უკვე დაადგინა კვირა-უქმ დღეებში ვაჭრობის მოსპობა. ამის შესახებ ამ ცოტა ხანში საეალდებულო დადგენილობანიც გამოიცემიან. ურიგო არ იქნებოდა, რომ ვაჭრების მაგალითს მიბაძავდენ ნოტარიუსებიც. თბილისში სულ ხუთი ნატარიუსია, რომელთა კანტორებში მსახურებს არა მცირე რიცხვი მოსამსახურეთა, რომელთა უმეტესობა კვირა-უქმ დღეებში იძულებელია იმუშაოს კანტორებში დილიდამ ნაშუადღევის ოთხ საათამდე.

***

«პეტერბურგის უწყებებში" სწერენ, რომ «კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას», ნაცვლად იმ შემოსაელისა, რომელიც დღემდე შემოდიოდა მასს ყარაიასის მამულებიდგან, რომელნიც დღეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობაში გადავიდა, სახელმწიფო ხაზინიდამ ყოველ წლობით მიეცემა 35,000 მანათი.

***

გაზეთ «ივერია»-ში ეკითხულობთ: «ბ. გ. კ. ჩიჩუას, რომელიც ამ ჟამად ქალაქ ასტრახანში იმყოფება, როგორც გვატყობინებენ, კრასნოიარის ტაძარში აღმოუჩენია ერთი ძველი ვერცხლის მოოქრვილი ჯვარი, ნაშთი ჩვენის ძველის ეკლესიისა. ჯვარს აზის თარიღად 1780 წელი და საკმაოდ კარგადაც არის თურმე დაცული. ზედ ჯვარზე გამოხატულია უფალი საბაოთი, ღვთის-მშობელი, წმ. იოანნე და გოლგოთა. ღვთის-მშობლისა და წმ. იოანნეს ქვემოდ ბერძნული ზედ-წარწერაა. გოლგოთას ქვემოდ ქართულად (ხუცურად) სწერია: «უფალო, შეიწყალე გამკეთებელი ამისა არქიეპისკოპოსი რუსთაველი იოანნიკე». ქრ. აქეთ 1780. ეს წარწერა ცოტათი დაზიანებულია. ჯვარი სიმაღლით ათი გოჯია და სიგანით-კი ექვსი. ბ-ნს ჩიჩუას გამოუკითხავს მღვდლებისა და მოხუცთათვის, თუ როდის და როგორ შეიძინა კრასნოიარის ტაძარმა ეს ნაშთი ძველის ქართულის ეკლესიისაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა შეუტყვიარა».

***

ქ. ქუთაისის ვაჭრებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის საბჭოში, რომ კვირა-უქმ დღეებში ყოველივე ვაჭრობა მოისპოს სახსოვროდ ხელმწიფე იმპერატორის და მისი უავგუსტოესი სახლობის სასწაულებრივ გადარჩენისა საიმპერატორო მატარებლის დამსხვრევის დროს 17 ოქტომბერს 1888 წელსა.

***

რაჭის მაზრის, სოფლის ქაჩაეთის წმიდის მთავარ-ანგელოსის ეკლესიის კრებული გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი შენიშვნა:

«ბოლითად მადლობას ვსწირავთ ჩვენ და ჩვენდამო რწმუნებული სამრეველო აზნაურს ბ. ალექსანდრე წულუკიძეს, რომელმაც ჩვენდამო რწმუნებულ ეკლესიას შემოსწირა ერთი კარგი ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერული სახარება. იმედი გვაქვს, რომ სხვებიც მიბაძვენ ბ. ალექსანდრე წულუკიძის საქებურს და ღვთის სასიამოვნო მაგალითს და რაიმე შემწეობას აღმოუჩენენ ხსენებულ ეკლესიას».

***

ხერსონის სასულიერო კონსისტორიისათვის ერთს ბლაღოჩინს უთხოვია შემდეგი კითხვის განმარტება: „«შეიძლება თუ არა მღვდელმა მოსთხოვოს მედავითნეთ ეკკლესიის დაგვა და ზარების დარეკა მწუხრის, ცისკრის და წირვის წინ?» ამ მოხსენებაზე მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას დაუწერია შემდეგი:» არავითარიმე შრომა ეკკლესის შესახებ დამამცირებელი არ არის მედავითნეთათვის, ასეთ მოვალეობას ვასრულებდი მე ჩემის ხელით, როცა არქიმანდრიტად ვიყავი და ეპისკოპოსობის დროსაც არ დამზარებია ასეთი შრომა. მაგრამ უსაფუძვლოა მოსთხოვონ მედავითნეთ ეკკლესიის დაგვა, ზარების რეკა და ცეცხლის დანთება. ასეთ მოვალეობათა აღსასრულებლად ეკკლესიაში სტაროსტას უნდა ჰყავდეს დაყენებული ეკკლესიის მოსამსახურენი ეკკლესიის კრებულის თანხმობით.

ნ ა რ ე ვ ი

წელს ჩვენში მეტის-მეტმა წვიმებმა შეგვაწუხეს, ხოლო რუსეთში უწვიმობას შეუწუხებია ხალხი. ამ უწვიმობას ბევრი ამაოდ-მორწმუნეობანი გაუღვიძებია რუსის გაუნათლებელ ხალხში. აი რა სწერია გაზეთ «ოდესის ფურცელში»:

«ერთ დიდ სოფელში სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგ ხალხმა წყლით გაწუწა თავისი მღვდელი, როცა იგი შემოსილი იყო. მღვდელი ჯერ დაუცვიათ მიწაზე და მერე დაუსხამთ წყალი. მოძღვარი ცუძალებულა, მაგრამ ხალხთან რას გააწყობდა. ამ შეურაცხებისათვის მღვდელს საჩივარი შეუტანია, სადაც ჯერ არის».

***

«ამ გვარივე შემთხვევა მომხდარა მეორე სოფელში. ამ სოფლის გლეხებს უწვიმობის მიზეზად ჩაუთვლიათ ერთი მოხუცებული კაცის სიკვდილი; ეს მოხუცებული გამოჩენილი მკითხავი ყოფილა; ხალხის ფიქრით მასს ვითომ კუდიც ჰქონია. ეს მოხუცებული გადაცვლილა გაზაფხულზე, რომლის შემდეგ ერთი მცვარი ნამი არ გადმოვარდნილა ციდამ. წვიმის მოსაყვანად ხალხს საჭიროდ დაუნახავს ამოეღო მიწიდამ გვამი მოხუცისა, დაებანა იგი წყლით და შემდეგ დაესაფლავებიათ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამის შემდეგ წვიმა უსათუოდ მოვიდოდა. შთქვამსთ და კიდეც აღუსრულებიათ: გვამი ამოუღიათ მიწიდამ ღამით, გაუბანიათ წყლით და შემდეგ ხელახლად დაუმარხავსთ. დამნაშავენი დღესაც ვერ აღმოუჩენია მართლ-მსაჯულებას».

***

«25 იენისს რუსეთის ერთ გუბერნიაში რამდენიმე სოფლის საზოგადოება შეკრებილა, მისულა სასოფლო კანცელარიაში და უთხოვია, რომ ნება მისცენ მათ დამარხონ მიწაში ცოცხალი კიბო. ხალხის ფიქრით, ამის შემდეგ წვიმა უსათუოდ მოვიდოდა. თხოვნა აღუსრულებიათ და ხალხს ცოცხალი კიბო ჩაუფლავს მიწაში».

რედაქციის პასუხი.

მღვ. ნ. შენ—ის. გასაოცარია ღმერთმანი! გაქებენ და თქვენ გწყინს! ამაოდ-მორწმუნეობა ყველგან არის, მაგრამ აქედამ არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ამაოდ-მორწმუნე მაინცა და მაინც კერპთაყვანის მცემელი იყოს და არა ქრისტიანე! მარტო სამურძაყანოში კი არ პარავენ ცხენს მღვდელს, ასეთი შემთხვევა სხვაგანაც ხშირია, მაგრამ ეს გარემოება არ მოასწავებს ქრისტიანობის დამხობას!.. მკვიდრ ნიადაგზე არც ერთი სკოლა არ არსებობს ჩვენში!...

ოსმანაშვილს. ბლაღოჩინს ლიაძეს არავითარი უფლება არა ჰქონდა თქვენთვის ფიცით ეკითხა, მაგრამ თქვენ რათ აჩვენეთ სიცრუე, თუ სასიმოზე და სასძლოზე არაფერი იცოდით? ქრმიანი ქალის უთხარით, რომ უქმრო არისო; რასაკვირველია კანონით პასუხს აგებთ თქვენც და გვირგვინის მაკურთხებელი მღვდელიც...

დ ა მ ს წ რ ე ს. მიიქეცით ადგილობრივ მართებლობასთან და განაცხადეთ ყველა ის, რასაც იწერებით. საქმეს უფრო დაეხმარებით.

დ. ჩ—ნს. ტყუვილად სწუხართ და უსაფუძვლოდ ემდურით მღვდელს. მღვდელს არა ვითარი უფლება არ ჰქონდა თქვენი განცხადებით გვირგვინის კურთხევა დაებრკოლებია. ერთი ძიძისაგან სხვა და სხვა ბავშების გაზრდა ნათესაობას როდი ბადავს. ის გარემოება, რომ სასიძო და სასძლო ერთი ქალის რძით იზრდებოდნენ, არაფერს არ მოასწავებს. ერთი წყაროდამ ხშირად ათი-ოცი კომლი ხმარობს წყალს, მაგრამ ამით ისინი ერთმანერთის ნათესავნი არ ხდებიან.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ბრიქუროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში — ლომკაცი აბაშიძის და იოსებ ხელაძის წიგნის მაღაზიაში, ხონში — წერეთლის წიგნის მაღაზიაში და ყვირილაში — თვით გამომცემელთან.

1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში. — ფასი . . . . 30 კ.
2) იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
3) საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი ყდით . . . . . 45 კ.
4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი . 30—
5) ახალი ქარაბადინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეპიმო რჩევისაგან. — ფასი . . 1 მან.
6) მდგდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი — ფასი ყდით . . . . 30 კ.
7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება. — ფასი ყდით . . 50—
8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი, — ფასი 25—
9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა. — ფასი . . . . 30—
10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი. — ფასი . 5—
11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე ოქროპირი, სურათებით — ფასი 5 —
12) მირქმა უფლისა, სურათით. — ფასი . 2—
13) დიდ-მარხვის წინ, სურათით. — ფასი . 2—
14) ხარება ყოველად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით. — ფასი . . 2—
15) ბზობა სურათით — ფასი . . . 2—
16) აღდგომა სურათით — ფასი . . 2—
17) კონტაკელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . 5—
18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით — ფ. 5—
19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . 2—
20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—
21) შიო-მღვიმის მონასტერ და ცხოვრების აღწერა დირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით — ფასი . . . . —5

.....

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

შინაარსი: მღვდლის ავტორიტეტი. — ეკლესიის მწყემსის მოქმედება და მოღვაწეობა. — რა მნიშვნელობა ჰქონდა კაბადოკიას საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში? — ექსარხოსის მოგზაურობა ასალ-ციხის მაზრაში. — «სერიოზული» ენათ-მეცნიერი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ნარკვი. — რედაქციის პასუხი. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე.

Дозв. цензурою, 29 Іюля 1889 г.

Типографія журнала «Мцкемси»